2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩვნო პროგრამების ანალიზი. რა იწვევს ცვლილებებებს?

გურამ ჩაფიჩაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გურამ ჩაფიჩაძე
25.06.2017

აბსტრაქტი

კვლევა, რომელიც მე ჩავატარე, ეხება 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო პროგრამებსა და პროგრამებში გაჟღერებული დაპირებების ბუნების ცვლას 4 წლიან ინტერვალში, 2012-დან და 2016 წლამდე.

თეზისის მიხედვით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროგრამები შედარებით მოზომილი და რეალისტური იყო, განსხვავებით 2012 წლისა, რაც გრანდიოზული დაპირებების სიმცირეში, დაბალანსებულ და შედარებით რეალისტურ ეკონომიკურ პროგრამებში გამოიხატა.

კვლევაში მოცემულია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური სუბიექტების, „კოალიცია ქართული ოცნებისა“[1] და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“[2] პროგრამები და ყურადღება გამახვილებულია სოციალურ და ეკონომიკურ დაპირებებზე, რაც პარტიებმა პროგრამებსა და საჯარო გამოსვლებში გააჟღერეს.

კვლევა ასევე მოიცავს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური სუბიექტების, „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“[3] პროგრამებსა და ცალკეულ დაპირებებს.

წინასაარჩევნო დაპირებების იმპლემენტაციის პრობლემა საქართველოს წლებია უდგას. იცვლება საარჩევნო პროგრამების ბუნებაც. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, პროგრამების ძირითადი ხასიათი ნაციონალისტური ნარატივიდან, სოციო-ეკონომიკურ საკითხებამდე დადის, რაც პოლიტიკური პარტიების მხრიდან აქცენტების ისრების ეკონომიკაზე გადასვლას ნიშნავს. 2012 წლის გრანდიოზული დაპირებების შემდეგ, 2016 წლის მოზომილ და დაბალანსებულ კამპანიებში პირველად მოხდა პოლიტიკური აქცენტების სრულად სოციალურ და ეკონომიკურ თემატიკაზე გადატანა.

ამ კვლევაში წარმოდგენილი იქნება ორი, 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო პროგრამები და გაზომილი იქნება სახელისუფლებო ძალის, „ქართული ოცნების“ მიერ 2012 წელს გაცემული სოციალური და ეკონომიკური დაპირებების შესრულება.

---

[1] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“. http://41.ge/

[2] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. http://www.unm.ge/

[3] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი.“

კვლევის მიზანია, დაამტკიცოს თეზისი, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გაცემული წინასაარჩვნო არარეალისტური დაპირებების შედეგად, საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების მიმართ გაჩნდა ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც გამოიხატა პარტიებისა და ლიდერების შემცირებულ რეიტინგებსა და 2016 წლის საპარლამენტო არჩვნებზე მოსახლეობის დაბალ დასწრებაში. მნიშვნელოვანია, 2016 წლის პოლიტიკური სუბიექტების წინა, 2012 წლის არჩვნებთან შედარებით სახეცვლილი, რეალისტური და დაბალანსებული პროგრამების გამოჩენაც, რომელთა აღსრულების შანსი 2012 წელს გაცემულ დაპირებებთან შედარებით მაღალი იყო/არის. კვლევით ვეცადე ერთის მრივ დამესაბუთებინა აზრი, რომ 2012 წელს გაცემულმა არარეალისტურმა პოლიტიკურმა დაპირებებმა გაზარდა ამომრჩევლების პოლიტიკური კულტურა, რაც პოლიტიკური ელიტის მიმართ უნდობლობაში გამოიხატა და მეორეს მხრივ, შემცირებული ნდობის პარალელურად, პოლიტიკურმა პარტიებმა აქცენტები სოციალური და ეკონომიკური საკითხების მიმართ მიმართეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკური პარტიები, არჩევნები, საარჩევნო პროგრამები.